გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №52
2017 წლის 16 ოქტომბერი

ქ. გარდაბანი

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტები".

მუხლი 2

1. ეს დადგენილება, გარდა დანართის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტების, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ დადგენილების დანართის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტები, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტი და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვაჟა გენგაშვილი**